

საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის განცხადება

საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა გამოხს დამოუკიდებლობის დღეს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ვანდალიზმს.

ვაცხადებთ, რომ ეს იყო სადამსჯელო- სამხედრო ოპერაცია მშვიდობიან მანიფესტანტებზე ანგარიშსწორებისა და მოსახლეობის დაშინების მიზნით!

შემადრწუნებელია ის სისასტიკე, რომელიც განხორციელდა მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ. სპეცრაზმი და პოლიცია მოსახლეობას მოექცა ისე, როგორც ნაცისტები,- ჰოლოკოსტის დროს.

ხელისუფლება უღმობლად გაუსწორდა მოხუცებსა და ქალებს, ნაცემი და დასახიჩრებულნი არიან საზოგადოებისათვის ცნობილია ადამიანები. შეურაცხყოფილი და შეძრულია მთელი საქართველო.

გათელილია ქართველი ერის ღირსება!

სახეზეა ახალი ტიპის დიქტატურა. ქვეყანაში მმართველებს პოლიტიკური ტერორი და მასობრივი რეპრესიები.

საჭიროა შეურიგებელი, უკანდაუხეველი და გონივრული ბრძოლა ქვეყნის გასათავისუფლებლად.

მოვუწოდებთ სრულიად ოპოზიციურ სპექტრს, სამოქალაქო საზოგადოებას: დაუყოვნებლივ შევიკრიბოთ, მივალწიოთ შეთანხმებას რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან გეგმაზე.

საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა თბილისი.